№3

მარტი, 2022წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

ქართულ-ამერიკული დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, საქართველოში აშშ-ის ელჩი ბოლნისის მუნიციპალიტეტს ეწვია

გვ:2

უკრაინელი ხალხის დახმარების მიზნით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ შტაბში ჰუმანიტარული ტვირთი შეგროვდა

გვ:2

„ძმების მარანი“ და ბოლნისში აღდგენილი ძველი ქართული ტრადიცია

გვ:4

ქართულ-ამერიკული დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, საქართველოში აშშ-ის ელჩი ბოლნისის მუნიციპალიტეტს ეწვია

ბოლნისის მუნიციპალიტეტს ქართულ-ამერიკული დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, საქართველოში აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი სტუმრობდა. საიუბლეო თარიღთან დაკავშირებით, ბოლნისის ახალ მუზეუმში ელჩმა შეხვედრა ქვემო ქართლში შემავალი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან გამართა. ღონისძიებას ქვემო ქართლის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი დოხტურიშვილი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი, რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი კენან ომაროვი და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დავით შერაზადიშვილმა ელჩს ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერების პროცესში ამერიკული მხარის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და საჩუქრად ბოლნისური

ღვინოები და ბოლნისის მუზეუმში დაცული ელინისტური ხანის არტეფაქტის, თიხის დოქის ასლი გადასცა. „მოხარული ვარ, რომ ქართულ-ამერიკული დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საქართველოში აშშ-

ის ელჩი, ქალბატონი კელი დეგნანი ბოლნისის მუნიციპალიტეტს ესტუმრა. აშშ ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორია, მას საქართველოში დემოკრატიისა და დეცენტრალიზაციის პროცესის განვითარებაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი. ადგილობრივი თვითმმართველობები განსაკუთრებით ვგრძნობთ ამერიკული მხარის მხარდაჭერას, რომელიც სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში გამოიხატება. ქალბატონ ელჩს ამ თანადგომისთვის მადლობა პირადად გადავუხადე“, – განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

სტუდენტური დაფინანსების გაცემის წესში ცვლილება შევიდა

სტუდენტები, რომლებიც სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობენ, ყოველთვიურ მატერიალურ დახმარებას კალენდარული წლის მანძილზე 10 თვის განმავლობაში (1ოქტომბრიდან 1 მარტამდე და 1 მარტიდან 1 აგვისტომდე) მიიღებენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ სტიპენდიის მისაღებად სტუდენტებს, რომლებიც შემოდგომის სემესტრში ისარგებლებენ ამ პროგრამით, აღარ მოეთხოვებათ საგაზაფხულო სემესტრის დახმარების მისაღებად განცხადების ხელმეორედ წარდგენა. ამ შემთხვევაში, საჭირო იქნება მხოლოდ უნივერსიტეტიდან აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტის დამადასტურებელი ცნობა. სტიპენდიის მისაღებად ასევე საჭირო აღარ არის სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა #1) ასლის წარდგენა.

შეგახსენებთ, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტი სტუდენტურ დახმარებას გასცემს შემდეგ კატეგორიებზე:

1. ობოლი სტუდენტები და სტუდენტები მარჩენალდაკარგული ოჯახებიდან, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;
2. სტუდენტები იძულებით გადაადგილებული ოჯახებიდან, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;
3. სტუდენტები სოციალურად დაუცველი (0-დან 100 000 ქულამდე) ოჯახებიდან, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;
4. სტუდენტები მრავალშვილიანი ოჯახებიდან (სამი და მეტი შვილი), რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;
5. სტუდენტები ოჯახებიდან, რომელშიც ორი ან მეტი სტუდენტია და სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;
6. წარჩინებული სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;
7. შშმ სტატუსის მქონე სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;
8. „არასრულწლოვანთა მსჯავრდებულების კოდექსი“, საქართველოს კანონით განსაზღვრული კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, რომელიც გახდა სტუდენტი;გაითვალისწინეთ, რომ სტუდენტური დაფინანსებისთვის საბუთების მიღება 2022 წლის 1 ოქტომბრიდან განახლდება.

უკრაინელი ხალხის დახმარების მიზნით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ შტაბში ჰუმანიტარული ტვირთი შეგროვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, საქართველოს რეგიონებიდან უკრაინაში ჰუმანიტარული ტვირთი იგზავნება. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ შტაბში, უკრაინელი ხალხის დახმარების მიზნით, არამალფუჭებადი საკვები და პირველადი მოხმარების საგნები შეგროვდა. ჰუმანიტარულ აქციაში მოქალაქეებთან ერთად, ბოლნისის მუნიციპალიტეტში მოქმედი 3 სკოლაც ჩაერთო.

აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში შეგროვებული ტვირთის მობილიზება თბილისში, საქართველოს ფოსტის ტერმინალში ხდება, რის შემდეგაც, სახმელეთო გზით უკრაინაში გაიგზავნება.

შეგახსენებთ, რომ უკრაინისა და უკრაინელი ხალხის სოლიდარობის ნიშნად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიამ სარეზერვო ფონდიდან ჰუმანიტარული დახმარებისთვის თანხები გამოყო. გამოყოფილი თანხით მუნიციპალიტეტმა არამალფუჭებადი საკვები პროდუქტები შეიძინა.

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ სპეციალურ შტაბში მოქალაქეებმა, უკრაინელი ხალხის დახმარების მიზნით, არამალფუჭებადი საკვები და პირველადი მოხმარების საგნები შეაგროვეს. აღსანიშნავია, რომ უკრაინელებისთვის ჰუმანიტარული ტვირთი სამმა სკოლამაც შეაგროვა. გამოჩენილი გულისხმიერებისთვის ჩვენს მოქალაქეებს, მოსწავლეებს, მსურს დიდი მადლობა გადავუხადო. მოხარული ვარ, რომ საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობის სურვილი არაერთმა მოქალაქემ გამოთქვა“, – განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები სტუმრობდნენ

რამდენიმე წელია ბოლნისის მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მათი დაფინანსებით, არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ობიექტი შეიქმნა, სწორედ ამ განხორციელებული პროექტების წარდგენა მოხდა დონორ ორგანიზაციებთან, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება და მეწარმეები დაესწრნენ. 2021 წელს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ინიცირებით, ჩამოყალიბდა პარტნიორობა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის, რომლის წევრებიც სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურები და საერთაშორისო ორგანიზაციები არიან, მათი მიზანია შეაფასონ და დაეხმარონ მუნიციპალიტეტებს ეკონომიკური გაძლიერების კუთხით.

დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ადგილზე მოინახულეს რამდენიმე ობიექტი, მათ შორის ქალაქ ბოლნისში ყოფილი კატერინენფელდის ტერიტორიაზე არსებული თამაზ სტეფანიას სახელობის ქუჩა, სადაც მოეწყო ქვაფენილი, მიწისქვეშა კომუნიკაციები და გარე განათების ქსელი, დამონტაჟდა მარკირების ნიშნები და ლაიტბოქსი, რაც ერთგვარი გზამკვლევია ვიზიტორებისთვის. ასევე დაათვალიერეს მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით აშენებული აგრო ცენტრი, რომელიც სოფლის მეურნეობაში ჩართულ მეწარმეებს ემსახურება და ადგილზე სთავაზობს ყველა საჭირო სერვისს. სტუმრები გაეცნენ საწამოო პროცესს და ბოლნისური ღვინოებიც დააგემოვნეს.

ჩართულმა მხარეებმა სამომავლო გეგმებზეც ისაუბრეს, მუნიციპალიტეტის მერმა მათ ინფორმაცია მიაწოდა დაგეგმილ და მიმდინარე პროექტებზე, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებას და ტურიზმის განვითარებას ბოლნისში.

„ბოლნისის მუნიციპალიტეტს საერთაშორისო ორგანიზაციებთან წარმატებული თანამშრომლობის დიდი გამოცდილება დაუგროვდა. ვუმასპინძლეთ დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მათ გრანტების დახმარებით განხორციელებული პროექტების შედეგები გავაცანით, ამ მიმართულებით ჩვენი გამოცდილება გავუზიარეთ და სამომავლო თანამშრომლობის შესახებ ვიმსჯელეთ. ჩვენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობას კვლავაც გავაგრძელებთ და შევეცდებით, ერთობლივი ძალებით, მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან გამომდინარე, არაერთი პროექტი განვახორციელოთ“ , -განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

თურქეთიდან იმპორტირებული მედიკამენტების შეძენა ოთხ დიდ სააფთიაქო ქსელშია შესაძლებელი

იაფი მედიკამენტები „ფარმადეპო“-ს, „ავერსი“-ს, „PSP“-ს და „იმპექსი“-ს ქსელშია ხელმისაწვდომი. ერთი მედიკამენტი – „ქსარელტო“ არის ხელმისაწვდომი „GPC”-ს და „ფარმსახლი“-ს მთელ ქსელში. თურქეთიდან, ამ ეტაპზე, 50-ამდე დასახელების მედიკამენტია იმპორტირებული. პრეპარატებისა და მიმწოდებელი ფარმაცევტული დაწესებულებების სია მუდმივ რეჟიმში იზრდება. შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, თურქული ფარმაცევტული ბაზრის გახსნის შედეგად, პრეპარატების ფასი, საშუალოდ, 60-80%-ით შემცირდა. მოსახლეობისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა სახელმწიფოს პრიორიტეტია. ჯანდაცვის სამინისტროში, ამ მიმართულებით, მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს. მედიკამენტების ჩამონათვალსა და აფთიაქების მისამართებს, სადაც მათი შეძენა არის შესაძლებელი გაეცნობით ამ ბმულზე : www.moh.gov.ge

ბოლნისში ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს თქვენი თანადგომა სჭირდება

2 მარტს, ქალაქ ბოლნისში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მომხდარმა ხანძარმა, ორი ოჯახი დააზარალა. ერთი სახურავის ქვეშ მყოფი ჩხეტიანებისა და მეტივიშვილების საცხოვრებელი დაიწვა. როგორც დაზარალებულები გვიყვებიან, შუაღამისას ხმაურზე გაიღვიძეს, გარეთ გასულები კი მძიმე მდგომარეობის მომსწრენი გახდნენ, მათ მხოლოდ მრავალშვილიანი ოჯახის გაღვიძება მოახერხეს. 13 ადამიანი სიკვდილს გადაურჩა. როგორც ისინი ვარაუდობენ, ხანძარი ელექტოენერგიის გაყვანილობამ გამოიწვია. ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო-სამაშველო ჯგუფი და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა. თუმცა ხანძარი იმდენად ძლიერი იყო, რომ ვერ მოხერხდა საყოფაცხოვრებო ნივთების გადარჩენა.

მომხდარ ფაქტს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიისგან, მყისიერი რეაგირება მოჰყვა, მუნიციპალიტეტის მერი არსებულ ვითარებას ადგილზე გაეცნო, მდგომარეობა შეისწავლა სპეციალურმა კომისიამ.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის შესაბამისად, სტიქიის, ხანძრის, სხვა უბედური და ფორსმაჟორული შემთხვევების შედეგად საცხოვრებელ სახლზე მიყენებული ზიანის აღსადგენად, დაზარალებულ ოჯახებს ერთჯერად მატერიალურ დახმარებას გაუწევს ზარალის ოდენობის შესაბამისად, მიყენებული ზიანის 70%-ის ოდენობით, არაუმეტეს 20 000 ლარისა.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, დაზარალებული ოჯახები, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, მატერიალურ დახმარებას უახლოეს მომავალში მიიღებენ, თუმცა სახლების აღდგენას გაცილებით მეტი სჭირდება. აღნიშნულ ფაქტს, სოციალურ ქსელში, დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მოსახლეობის თხოვნით ვაქვეყნებთ დაზარალებული ოჯახების ანგარიშის ნომრებს.

ასლანიკაშვილების ოჯახი: #GE78LB0711103177079640 ლიბერთი ბანკი მიმღები: ნელი ასლანიკაშვილი

მეტივიშვილების ოჯახი:თიბისი ბანკი #GE61TB7234345064300031 მიმღები გიორგი მეტივიშვილი

საქართველოს ბანკი#GE03BG0000000527560961თამარ მეტივიშვილი

„ძმების მარანი“ და ბოლნისში აღდგენილი ძველი ქართული ტრადიცია

ბოლნისში მევენახეობა-მეღვინეობის აღორძინება, ორი საუკუნის წინ, „შვაბების“ ჩამოსახლებას უკავშირდება, მათ ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით გააშენეს ვენახები და დაიწყეს ღვინის წარმოება ევროპული მეთოდით, მას შემდეგ ბოლნისში ამ საქმიანობას წარმატებით მისდევენ. თუმცა, რამდენიმე წელია, მეღვინეებმა ტრადიციას ახალი დატვირთვა შესძინეს, რომლის აღორძინება-განვითარების საქმეში დიდი წვლილი გურამ ავქოფაშვილმა შეიტანა. სწორედ მის წარმოებაზე გიამბობთ დღეს, თუ რა გზა გაიარა „ძმების მარანმა“, რომელიც 2015 წელს დაარსდა და ქვევრის ღვინო პირველად 2016 წელს ჩამოასხა. „ძმების მარანი“ ოჯახური მეღვინეობაა და მასში ყველა წევრი მონაწილეობს. მარნის დაარსებასა და განვითარებაზე ახალგაზრდა მეღვინე, „ძმების მარანის“ მარკეტინგისა და საერთაშორისო გაყიდვების მენეჯერი მაკუნა ავქოფაშვილი გვიამბობს:

-მიხარია, რომ აქტიურად ვარ ჩართული ჩემი ოჯახის საქმიანობაში, ყოველდღიურად ვცდილობთ ბევრი სიახლე შევთავაზოთ ღვინის მოყვარულებს. ჩემი ოჯახი ღვინოს 1900 წლიდან აწარმოებს. 2015 წლამდე ღვინოს პირადი მოხმარებისთვის ვაწარმოებდით, გვქონდა ძველი გერმანული მარანი და ვენახი. 2015 წელს კი, ბიძამ და მამამ გადაწყვიტეს, ოჯახური მეღვინეობისათვის ბიზნესის სახე მიეცათ და სწორედ, ამ პერიოდიდან დაიწყეს ძველი ქართული ტრადიციის აღდგენა - ქვევრებში ღვინის დაყენება და ბოთლებში ჩამოსხმა. მე ცოტა მოგვიანებით შევუერთდი, თუმცა ახლა თითქმის ყველა ეტაპზე ვარ აქტიურად ჩართული, დაწყებული ვენახის მოვლიდან, ღვინის დაყენებისა და რეალიზაციის პროცესით დამთავრებული. საკმაოდ რთული, გამოწვევებით სავსე პერიოდი გამოვიარეთ, თუმცა დიდმა მონდომებამ და საქმისადმი სიყვარულმა შეგვაძლებინა ის, რომ დღეს ბოლნისური მეღვინეობა ქართული ღვინის რუკაზე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

-რატომ გადაწყვიტეთ ქვევრის ღვინოების წარმოება და, რა სახეობის ღვინოებს აწარმოებთ?

-გვსურდა ბოლნისში ძველი ქართული ტრადიციის აღდგენა, ერთგვარი ექსპერიმენტი და გამბედაობა იყო ჩვენი მხრიდან, რომ დაგვეწყო ქვევრის ღვინოების დაყენება. ვაწარმოებთ ღვინოებს მხოლოდ ადგილობრივი ჯიშის ყურძნისგან: რქაწითელი, საფერავი, თავკვერი, ჩინური. სამომავლოდ გეგმაში გვაქვს სხვადასხვა ჯიშების დამატება და ღვინოების ასორტიმენტის გაზრდა.

-რამდენად შრომატევადია ვენახის მოვლა და ღვინის დაყენება?

- საკმაოდ შრომატევადია ვენახში მუშაობა, ვაზის სწორი მოვლა, სამუშაოების დროულად ჩატარება, რაც წინაპირობაა ხარისხიანი ყურძნის მიღების. თუმცა, ამავდროულად, ძალიან სასიამოვნო პროცესია, როცა თავად უვლი, მთელი ოჯახი ჩართულები ვართ და ყველას ჩვენ- ჩვენი მოვალეობა და პასუხისმგებლობა გვაქვს, რაც საბოლოოდ ღვინოების წარმატებაზე აისახება. ასევე ძალიან გვიყვარს რთველის პერიოდი, რომელიც ყველაზე დადებითი ემოციების მომტანია.

-გვიამბეთ თქვენს მარანზე

-ჩვენს მარანში არის ოჯახური გარემო, ვაწარმოებთ ძველი ქართული ტრადიციული მეთოდით ქვევრის ღვინოებს, ასევე წელს დავიწყეთ ევროპული მეთოდით ღვინის დაყენება. წელიწადში ვაწარმოებთ 3000 ბოთლ ნატურალურ ღვინოს. ვმასპინძლობთ ტურისტებს, ვგეგმავთ ტურისტულ მარშრუტებს, სტუმრებს ვუმასპინძლდებით ადგილობრივი, სახლში მომზადებული კერძებით. მინდა აღვნიშნო, რომ ტურისტების ინტერესი გაიზარდა მას შემდეგ, რაც „ღვინო ბოლნისი“ საქპატენტის მიერ, დარეგისტრირდა დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოდ. ჩვენი მარანი არის ძველი გერმანული და შენარჩუნებულია ის სიძველე, რაც იყო 200 წლის წინ, როცა ამ სახლში გერმანელები ცხოვრობდნენ, აწარმოებდნენ ღვინოს შვაბური ტექნოლოგიით. ვცდილობთ, ავთენტურობა შევუნარჩუნოთ, უცხოელი სტუმრებისთვის ემოციურია იმ ისტორიების მოსმენა, რაც კატერინენფელდში მცხოვრებ გერმანელებს უკავშირდება.

-როგორია ინტერესი ბოლნისური ღვინოების მიმართ და კონკრეტულად „ძმების მარანის“ ღვინოებზე?

- საკმაოდ გაიზარდა ღვინოების ხარისხი . ამაში უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი, ჩვენს ყველაზე დიდ მხარდამჭერ ღვინის ლაბორატორიას და მის თითოეულ თანამშრომელს. ინტერესი ასევე განპირობებულია იმით, რომ არის საკმაოდ მსუბუქი, არომატული. რაც შეეხება ჩვენს ღვინოებს, საკმაოდ დიდი დრო დაგვჭირდა, შრომა, გამოფენა - კონკურსებში მონაწილეობის მიღება, რომ ბევრს გავეცანით, მიგვეღო რჩევები და შენიშვნები, რომ გაგვეზარდა ხარისხი. ამ თანმიმდევრულობამ მოგვიტანა წარმატება. ადგილობრივი ბაზრის გარდა ღვინოებს ვყიდით ავსტრალიაში, ბელგიაში და წელს პირველად, „ძმების მარანის“ ღვინოები აზიის კონტინენტზე გავაგზავნეთ და შანხაიში, სხვადასხვა

ღვინის ბარებსა და რესტორნებში იყიდება. ეს კი არამარტო „ძმების მარანის“, არამედ ბოლნისური მეღვინეობის დიდი წარმატებაა.

-როგორია თქვენი ღვინის გემოვნური თვისებები?

-ჩვენი ღვინოები საკმაოდ განსხვავებული, განსაკუთრებული, მსუბუქი და არომატულია. რასაც აღნიშნავენ უცხოელი პარტნიორები, მათთვის ბოლნისური ღვინოები საინტერესო აღმოჩენაა ბოლო წლების განმავლობაში, ეს განსხვავებულობა განპირობებულია ნიადაგითა და კლიმატური პირობებით.

-,,ძმების მარანი'', რატომ გადაწყვიტეთ ეს სახელი, საკმაოდ საინტერესო და განსხვავებული ეტიკეტიც გაქვთ, იქნებ მოკლედ მოგვიყვეთ?

-სახელზე ბევრი არ გვიფიქრია, რადგან მამას და

ბიძას იდეა იყო ოჯახური საქმიანობა ბიზნესად გვექცია და შესაბამისად, სახელიც ლოგიკური იქნებოდა, რომ ყოფილიყო „ძმების მარანი“. რაც შეეხება ეტიკეტს, ჩვენი მარნის დაარსების დღიდან, ბევრი ცვლილებები შეგვქონდა და საბოლოოდ, საინტერესო, კრეატიულ და განსხვავებულ ეტიკეტზე იმუშავა ჩვენმა ავსტრალიელმა პარტნიორმა ეიდენ რაფტერმა. ნამუშევარმა საკმაოდ დიდი მოწონება დაიმსახურა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. მარტივად და გასაგებად მიწოდებული ლეიბლია, რაც დიდ ემოციას იწვევს ღვინის მოყვარულებში.

-„ძმების მარანი“ გაერთიანება „ღვინო ბოლნისის” წევრია, რა მოგიტანათ გაერთიანების წევრობამ?

-დიახ, ჩვენ ამ გაერთიანების წევრები ვართ და ისეთ საინტერესო აქტივობაში მონაწილეობის საშუალება გვაქვს, როგორიც არის საერთაშორისო გამოფენა-კონკურსები, სხვადასხვა დეგუსტაციები. ასევე გაერთიანება საშუალებას გვაძლევს ღვინის ხარისხი მუდმივად ვაკონტროლოთ ლაბორატორიული კვლევებით. სულ ბოლო აქტივობა, კომპანია „არემჯისთან“, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ბოლნისის აგროცენტრთან ერთად შედგა, იყო პოლონეთის ქალაქ კატოვიცეში. ღვინოები ადგილობრივი ღვინის ბარებისა და რესტორნების წარმომადგენლებმა, ღვინის მოყვარულებმა და მედიის წარმომადგენლებმა შეაფასეს. ვფიქრობ, მეღვინეთა გაერთიანება კომპანია „არემჯისთან“ და მერიასთან ერთად, მომავალშიც საინტერესო აქტივობებში მონაწილეობის საშუალებას მოგვცემს,

-როგორ ფიქრობთ, რა გამოწვევების წინაშეა ქართული ღვინო და რა სჭირდება ბოლნისურ მეღვინეობას მეტი ცნობადობისთვის?

- ჩემი აზრით, მთავარ გამოწვევად რჩება ღვინის ხარისხი, ბაზრების დივერსიფიკაცია და მარკეტინგული კამპანიები. აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ღვინის ხარისხის კონტროლი, რაც უფრო მეტად გაზრდის ინტერესს ქართული ღვინოების მიმართ საერთაშორისო ბაზრებზე.

-სამომავლო გეგმების შესახებ მოგვიყევით?

-ჩვენი სამომავლო გეგმებია, ბევრ გამოფენა-კონკურსში მონაწილეობის მიღება, მარკეტინგული კამპანიების გაძლიერება, რათა კიდევ უფრო მეტად გაიზარდოს ცნობადობა ბოლნისური მეღვინეობის მიმართ და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია „ძმების მარანისათვის“ საექსპორტო ბაზრების გაზრდა, რაზეც აქტიურად ვმუშაობთ.

მაგდა დევნოზაშვილი

,,თუ დროში დაიკარგე, წინ ვეღარ წახვალ. მე იმედს და დროს არასდროს ვკარგავ“ - გაზეთის სტუმარი ექიმი ქეთი ვეზდენია

მოგიყვებით უბრალო და მეოცნებე გოგონაზე ,რომელიც დღეს შემდგარი ექიმი, საქმიანი ქალი და საუკეთესო დედაა. ჩვენი გაზეთის სტუმარი საქართველოს უნივერსიტეტის მიწვეული ლექტორი და ესთეტიური სტომატოლოგიის ცენტრ ,,ელიტის“ ექიმ-ორთოპედი ბოლნისელი ქეთი ვეზდენია.

-მე ქეთი ვარ, უბრალოდ ცხოვრებაზე და ადამიანებზე შეყვარებული. ოჯახი ჩემთვის ყველაფერია. გავიზარდე ოჯახში , რომელიც მუდამ სავსე იყო უამრავი სტუმრით და ნათესავით. ამ სისავსემ, ბავშვობიდან მასწავლა, როგორი უნდა ყოფილიყო თანამეოჯახეობა, მეგობრობა, პატივისცემა, სიყვარული და თანადგომა. დღეს მე ვცდილობ, იგივე გარემო შევუქმნა ჩემ ორ ქალბატონს 14 წლის სესილის და 4 წლის ელის . ჩვენი დროება ძალიან განსხვავდება მშობლების დროებისგან მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობ ეს ჩემი კარგი ბავშვობის გამოცდილება მათაც გავუზიარო.

ბოლნისი

ბოლნისში ცხოვრების წლები, მეგობრები ყოველთვის განსაკუთრებულად და თბილად მახსენდება, სკოლა არაჩვეულებრივი მასწავლებლებით, კობა ჟღენტი და ცეკვის სტუდია ხომ საერთოდ, საოცრება იყო. ამ პერიოდს, ჩემს ჩამოყალიბებაში, უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი, დღემდე ბავშვივით მიხარია, როცა ნაცნობი სახეები მხვდებიან.

პროფესია- სტომატოლოგი

ექიმობა ღრმა ბავშვობიდანვე ჩემი არჩევანი იყო და არასდროს შეცვლილა, არასდროს მიფიქრია, რომ შევცდი პროფესიის არჩევაში. მიყვარს ჩემი საქმე და კარგი შედეგები უზომოდ მაბედნიერებს. ბოლნისის სკოლაში კლასის ექიმი ვიყავი და მახსოვს, როგორ მახარებდა ის ფაქტი, რომ დედაჩემი სამედინიცო ჩანთას წამლებით მივსებდა, თან მასწავლიდა როდის, რომელი უნდა გამომეყენებინა . ხშირად მითქვამს, რომ მე დავიბადე ჩემი პროფესიით.

წარმატების საზომი

როდესაც გრძნობ, რომ შენი შესაძლებლობები მაქსიმალურად სწორად იხარჯება და შედეგად პროფესიული, ან პიროვნული ზრდა გაქვს, ეს უკვე დიდი წარმატებაა. ჩვენი წარმატების ყველაზე სამართლიანი შემფასებელი ისევ ჩვენ ვართ. ამდენად, წარმატებას მუდმივად პროგრესში ყოფნად უფრო აღვიქვამ, ვიდრე მხოლოდ ერთხელ გამარჯვებას. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მაქსიმალისტი ვარ და თუნდაც თითოეული პატარა წარმატება ძალიან მახარებს, ვიცი რომ მძიმე, ბოლოს ჩემი ცხოვრების გრძელი წინადადების წერტილამდე მიმიყვანს.

პრობლემებთან გამკლავება

ასე ვიტყოდი, რა უნდა იცოდეს ადამიანმა იმისთვის, რომ ცხოვრების პრობლემებმა არ ჩაითრიოს, ანუ გზა გააგრძელოს განვითარებისკენ? ეს არის, დროის ფასი და მისი ძალა . თუ დროში დაიკარგე, წინ ვეღარ წახვალ. მე იმედს და დროს არასდროს ვკარგავ .

პრიორიტეტი ცხოვრებაში

გამოცდილების მიღებასთან ერთად, პრიორიტეტები იცვლება. დღეს ჩემი პრიორიტეტი, ჩემი ცხოვრების ადამიანები არიან.

ერთი ჩვეულებრივი დღე

სულ ვნატრობ, 48 საათი იყოს ერთი დღე. ყველაფერი მინდა, რომ მოვასწრო და ხანდახან არ გამომდის.

დილას ყოველთვის ვიწყებ ძალიან ადრე, ვსეირნობ ფეხით სუფთა ჰაერზე. შემდეგ ვსაუზმობთ, ვცდილობ მე მოვუმზადო ბავშვებს, ვიდრე სკოლას და ძიძას გადავაბარებ. მერე იწყება სამსახური. ეს არის კლინიკა და უნივერსიტეტი. ძალიან საინტერესო გამოდის სამუშაო პროცესი, იმდენად რამდენადაც ბევრ და საინტერესო ადამიანებთან მიწევს კომუნიკაცია საღამოს ტრადიცია გვაქვს, რომ სამზარეულოში ვსხდები დედასთან და ჩემ ორ ქალბატონთან ერთად, ვცვლით მთელი დღის ამბებს, სადაც ყველაზე აქტიურია ელი. ძილს კი ძალიან ცოტა დროს ვუთმობ.

სამომავლო მიზანი

ჩემი მიზანი? ჩემი სახელი ბედნიერ პაციენტთან და ხარისხთან ასოცირდებოდეს.

საქმიანი ქალი

როგორც ასეთი, ქალი თავისი ბუნებით, ნებისმიერ სფეროში საქმიანია. თანდაყოლილი გვაქვს ეს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, რომ ის საქმე რაც გვაქვს სრულფასოვნად ვაკეთოთ. დედა ცდილობს საუკეთესო დედა იყოს, ექიმი, მასწავლებელი და ნებისმიერ სფეროში ყველა ცდილობს თავისი საქმე, კარგად აკეთოს. მიყვარს ადამიანები, რომლებიც სულ ცდილობენ განვითარებას და არასდროს ჩერდებიან.

დარეჯან ოქრუაშვილი

გაიცანით - ბიბლიოთეკარი სოფელ ტანძიიდან

ლეილა თამლიანი სოფელ ტანძიაში, 2008 წლიდან მოღვაწეობს და დღემდე, ისტორიული სოფლის ბიბლიოთეკის გაძლიერებაზეა ორიენტირებული. ქალბატონი ლეილა ერთ სივრცეში თავმოყრილ წარსულისა და აწმყოს, ისტორიულ-კულტურულ ქრონიკებს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება, რადგან თვლის, რომ წიგნიერება და ინტელექტუალური გარემო ხელს უწყობს საზოგადოების, ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებას და მის სწორად რეალიზებას.

ქალბატონი ლეილა ფიქრობს, რომ ბიბლიოთეკარობა მეტად საპასუხისმგებლო პროფესიაა, მუშაობისას კარგად უნდა იცოდე თითოეული დოკუმენტაცია, რადგან მკითხველს, განსაკუთრებით მოზარდებს, სჭირდებათ გზამკვლევი სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურის შერჩევისას.

ლეილა თამლიანი - ვიდრე ბიბლიოთეკაში მოვიდოდი, მარტივი საქმე მეგონა, თურმე ვცდებოდი. ეს არის ძალიან საპასუხისმგებლო პროფესია, რადგან საბიბლიოთეკო სივრცეში თავს იყრის მსოფლიო ლიტერატურა, ისტორიული დოკუმენტები, მნიშვნელოვანი საარქივო პუბლიკაცია და ასე შემდეგ. ბიბლიოთეკარი ვალდებულია პოზიტიური კომუნიკაცია ჰქონდეს მკითხველთან და მისთვის საინტერესო ნაწარმოების შერჩევაში დაეხმაროს.

ლეილა თამლიანი ეკომიგრანტია. 1987 წელს სტიქიის გამო სვანეთიდან ტანძიაში, მაშინდელი მთავრობის გადაწყვეტილებით, რამდენიმე ოჯახთან ერთად დასახლდა, თავიდან გაუჭირდა უცხო გარემოში დამკვიდრება, თუმცა მალევე მასპინძელი სოფლის დახმარებით და თანადგომით, ფეხი მოიკიდა და პატარა სოფელი მშობლიური მხარესავით შეიყვარა.

„თავიდან ძალიან გამიჭირდა, მძიმე და რთული პერიოდი გვედგა, მაგრამ ამ ხალხის თბილმა დამოკიდებულებამ და გვერდში დგომამ, გაგვაძლიერა, ამას ხელს უწყობდა სოფლის გეოგრაფიული არეალიც. ტანძია ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესი სოფელია საქართველოში, თავისი ისტორიული და კულტურული წარსულით. სანამ ბიბლიოთეკარად დავიწყებდი მუშაობას, ჩემი პროფესიით, სოფლის საბჭოში ბუღალტრად ვმუშაობდი, მერგო პატივი და, მცირე ხნით, მუზეუმშიც ვიყავი დასაქმებული“.

ლეილა თამლიანი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტში „ქალები ბიბლიოთეკიდან“ არის ჩართული, რომელშიც განხილულია ბიბლიოთეკარების ისტორიები, რომლებმაც სოფლის ბიბლიოთეკები დღემდე მკითხველისა და წიგნის სიყვარულით მოიტანეს. აღნიშნულ პროექტში ქალბატონი ლეილა აზერბაიჯანელებისთვის ქართული ენის სწავლების კუთხით ჩაერთო.

„ტანძია აზერბაიჯანული სოფლებითაა გარშემორტყმული. ვატყობდი, რომ ძალიან უჭირდათ ქართულ ენაზე საუბარი, ამიტომ კარდაკარ დავიარე ორი სოფელი, გამოკითხვა ჩავატარე და მოსახლეობისგან დიდი ინტერესი რომ დავინახე, სტიმული მომეცა. სწორედ ეს გახდა მიზეზი შემექმნა წრე და მოსახლეობისთვის ქართული მესწავლებინა. ორი ჯგუფი მყავდა: უფროსების და ბავშვების. 75 წლის ადამიანიც კი იყო ჩართული პროექტში. 2008 წელს, მუშაობა რომ დავიწყე, ბიბლიოთეკა ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო, შემდეგ განახლდა, თანდათან ვიღებთ ახალ წიგნებსაც. გვაქვს ძალიან საინტერესო ძველი წიგნები, მაგრამ მოხმარებისთვის უვარგისია. ჩამოწერა რომ გვქონდა, მენანებოდა, მაგრამ ფურცლები ტყდებოდა სიძველისგან. ჩემი ოცნებაა, ახალი წიგნთა ფონდი, რადგან მკითხველი რომ შემოდის, პირველი შეკითხვა ეს არის: „ახალი წიგნები ხომ არ მიიღეთ?“ ინტერესი უფრო და უფრო მატულობს. ხშირად დადიან აზერბაიჯანელი ბავშვები. უკვე გვაქვს კომპიუტერი, პროექტორი, პატარა ფილმებსაც ვაჩვენებთ. ბიბლიოთეკარობა იოლი ჩანს, მაგრამ ურთულესი პროფესიაა. მით უფრო, ასეთ გარემოში, სადაც წიგნი საუკეთესო საშუალებაა ეთნიკურად ქართველი და არაქართველი მოსახლეობის ინტეგრაციისთვის“.

ქალბატონი ლეილა მზრუნველი და ერთგული დედა, მეუღლე და ბებიაა, რომელიც თანაბარ დროს უთმობს, როგორც ფიზიკურ, ასევე ინტელექტუალურ მუშაობას. საქმიანობიდან გამომდინარე, კითხულობს ძალიან ბევრს და ცდილობს ყოველდღიური ცხოვრებისეული რუტინა უკეთესობით შეცვალოს.

მარინა გავაშელი

24 მარტს აღინიშნება ტუბერკულოზის მსოფლიო დღე

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ინიციატივით ტუბერკულოზის მსოფლიო დღედ გამოცხადებულია 24 მარტი იმ მოვლენის აღსანიშნავად, როდესაც რობერტ კოხმა აღმოაჩინა ტუბერკულოზის გამომწვევი ბაცილა და საფუძველი დაუდო ტუბერკულოზის დიაგნოსტიკასა და მკურნალობას.

ტუბერკულოზის მსოფლიო დღე არის შესაძლებლობა საზოგადოების ინფორმირებულობის ასამაღლებლად ტუბერკულოზის ჯანმრთელობის, მისი სოციალური და ეკონომიკური შედეგებისა და საფრთხის შესახებ, რაც ახლავს წამლებისადმი რეზისტენტული ტუბერკულოზის ფორმებს. ეს დღე ხელს შეუწყობს ტუბერკულოზის საბოლოოდ დასრულებას.

2022 წლის ტუბერკულოზის მსოფლიო დღის თემა - „მეტი ინვესტიცია ტუბერკულოზის დასასრულებლად და სიცოცხლის გადასარჩენად“ - ყურადღებას ამახვილებს რესურსების ინვესტირებაზე, რაც აუცილებელია ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად და გლობალური ლიდერების მიერ აღებული ვალდებულებების შესასრულებლად. ეს ინვესტიციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია COVID-19-ის პანდემიის კონტექსტში, რომელმაც ტუბერკულოზთან ბრძოლაში მიღწეული პროგრესი რისკის ქვეშ დააყენა.

ტუბერკულოზის ეპიდემიის დასრულება 2030 წლისათვის არის გაეროს მდგრადი განვითარების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სამიზნე.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გაანგარიშებით, მსოფლიოში აქტიური ტუბერკულოზით ყოველწლიურად ავადდება 9 მილიონამდე ადამიანი და იღუპება დაახლოებით 1,5 მილიონი. პრობლემას ქმნის ტუბერკულოზის არსებული, მაგრამ გამოუვლენელი შემთხვევები, რომლის რიცხვიც 3 მილიონის ფარგლებში მერყეობს. გლობალურად ახალი შემთხვევების 3-4%-სა და ნამკურნალები შემთხვევების 20%-ში მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი აღინიშნება.

2000 წლიდან ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალურმა ძალისხმევამ დაახლოებით 66 მილიონი სიცოცხლე გადაარჩინა.

ბოლო 10 წლის განმავლობაში, საქართველოში ტუბერკულოზის ყველა ფორმის მნიშვნელოვანი კლების ტენდენცია დაფიქსირდა - საშუალოდ 6.6% წელიწადში. ახლად დიაგნოზირებული ტუბერკულოზის შემთხვევათა მაჩვენებელი შემცირდა 65%-ით 112-დან 40-მდე 100000 მოსახლეზე. ტუბერკულოზი 2021 წელს 1646 ადამიანს დაუდგინდა, რაც წინა წელთან შედარებით 10%-ით ნაკლებია. 2020-2021 წლებში ტუბერკულოზის შემთხვევების გამოვლენის მნიშვნელოვანი შემცირება სავარაუდოდ COVID-19 ეპიდემიის გავლენას უკავშირდება.

2016 წლიდან საქართველო აღარ შედის MDR-TB მაღალი ტვირთის მქონე ქვეყნებს შორის. თუმცა, წამლისადმი რეზისტენტობის ტვირთი ჯერ კიდევ მაღალია, რაც წარმოადგენს ქვეყანაში ტუბერკულოზის ეფექტური ელიმინაციის მთავარ გამოწვევას.

სახელმწიფო, ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორების ძალისხმევით საქართველოში ხელმისაწვდომია ეფექტიანი დიაგნოსტიკა და მკურნალობა. მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოიყენება ტუბერკულოზის სწრაფი დიაგნოსტიკის მეთოდი GeneXpert აპარატების მეშვეობით. დიაგნოზის დადასტურების შემთხვევაში უზრუნველყოფილია ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტებზე მგრძნობელობის კვლევა და ასევე, ტესტირება აივ-ინფექციასა და C ჰეპატიტზე. ყველა პაციენტისთვის ხელმისაწვდომია ხარისხიანი მედიკამენტები, ახალი ტუბსაწინააღმდეგო წამლების ჩათვლით. მკურალობის დასრულებაში პაციენტებს ეხმარებიან როგორც სამედიცინო დაწესებულებების, ასევე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.

ბოლო მონაცემებით საქართველოში სენსიტიური ტუბერკულოზის მქონე პაციენტებისთვის მკურნალობის წარმატების მაჩვენებელმა 85%-ს, ხოლო MDR/RR-TB შემთხვევების მკურნალობის შედეგებმა 75%-ს მიაღწია.

წელს ტუბერკულოზის მსოფლიო დღის აღნიშვნას ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ მიუსადაგა ბავშვთა და მოზარდთა ასაკში ტუბერკულოზის დიაგნოსტიკის და მკურნალობის ახალი რეკომენდაციების გამოცემა, სადაც ყურადღება გამახვილებულა მკურნალობის ხანმოკლე რეჟიმების და ახალი მედიკამენტების გამოყენებასა და ოჯახზე ორიენტირებული, ინტეგრირებული სერვისის მიწოდებაზე. საქართველოს ეროვნული გაიდლაინი განახლდება ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით.

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი დონორ ორგანიზაციებთან - აივ ინფექცია/შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალურ ფონდთან, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან ასევე სხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან, მათ შორის, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრთან, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციებთან, არასამთავრობო სექტორთან და პაციენტთა სათემო ორგანიზაციებთან ერთიანდება ტუბერკულოზის დასამარცხებლად.

მკურნალობის თანამედროვე რეჟიმების უნივერსალური ხელმისაწვდომობა

სახელმწიფო პროგრამითა და გლობალური ფონდის თანადაფინანსებით უზრუნველყოფილია ტუბერკულოზის ყველა ფორმის, მათ შორის რეზისტენტული ტუბერკულოზის თანამედროვე მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობა. ყველა პაციენტს ეძლევა ახალი წამლები და ასევე დანერგილია მკურნალობის ხანმოკლე, სრულად პერ-ორალური რეჟიმები, რამაც ხელი შეუწყო მკურნალობის შედეგების გაუმჯობესებას.

ვიდეო მხარდაჭერით მკურნალობა

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ გლობალური ფონდის ტუბერკულოზის პროგრამის მხარდაჭერით, შემუშავდა მობილური ტელეფონის აპლიკაცია ვიდეო მხარდაჭერით მკურნალობისთვის. აღნიშნული აპლიკაცია პაციენტს წამლების მისთვის მოსახერხებელ დროს მიღების

და შემდეგ ვიდეოს ექთანთან გადაგზავნის საშუალებას აძლევს. 2018 წლიდან ვიდეო მხარდაჭერით მკურნალობაში ჩაერთო 1900-ზე მეტი პაციენტი და მათ შორის მკურნალობიდან დაკარგვის მაჩვენებელი ძალიან დაბალია. რიგ შემთხვევებში მკურნალობის დამყოლობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აპლიკაციის გამოყენებაზე გადასვლის შემდეგ. ტექნოლოგიის გამოყენება განსაკუთრებით გაფართოვდა COVID-19 პანდემიის დროს და შესაძლებელი გახადა მკურნალობის მეთვალყურეობა ჯანდაცვის დაწესებულებაში პაციენტის ვიზიტის გარეშე.

თანამედროვე მოლეკულური დიაგნოსტიკის დანერგვა

მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოიყენება სწრაფი მოლეკულური მეთოდი GeneXpert აპარატების მეშვეობით, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტუბერკულობის დიაგნოსტიკისთვის. ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის რეფერენს-ლაბორატორია და ქუთაისის ზონალურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორა აღიჭურვა GeneXpert აპარტის 10-ფერიანი მოდულებით, რამაც შექმნა მოლეკულური მეთოდით მეორე რიგის მედიკამენტების მიმართ მგრძნობელობის სწრაფი დადგენის შესაძლებლობა. იგივე აპარატები გამოიყენება კორონავირუსის დიაგნოსტიკისთვის.

შემთხვევათა ადრეული გამოვლენა ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით

შერჩეულ კომპაქტური ჩასახლების ან შეკრების კერებში და ძნელად მისადგომ ადგილებში შემთხვევების აქტიური მოძიებისთვის გამოიყენება მობილური ამბულატორია - ავტომობილი, რომელშიც განთავსებულია GeneXpert-ის აპარატი და ასევე სპეციალური კომპიუტერული პროგრამით (computer aided detection - CAD) აღჭურვილი რენტგენოდიაგნოსტიკური აპარატურა. CAD პროგრამა იყენებს ხელოვნურ ინტელექტს და აფასებს გულმკერდის რენტგენის სურათს ტუბერკულოზისა და/ან COVID-19-ის გამოსავლენად. 1670 პირის ტესტირება ჩატარდა 2021 წელს და 2200 პირის კვლევა დაგეგმილია 2022 წელს.

კონტაქტების კვლევისა და ლატენტური ტუბერკულოზის მკურნალობის გაფართოება

ტუბერკულოზით დაავადებულ ინდექს-პაციენტთან კონტაქტის მქონე პირები აქტიური სკრინინგის ერთ-ერთ ძირითად ჯგუფს წარმოადგენს. ტუბერკულოზთან ბრძოლის სტრატეგიის შესაბამისად, აუცილებელია პაციენტთან ახლო კონტაქტში მყოფი პირების კვლევა აქტიური და ლატენტური ტუბერკულოზის გამოსავლენად. გლობალური ფონდის მხარდაჭერით შეიქმნა ელექტრონული პლატფორმა (TraceTB), რომელიც ტუბერკულოზით დაავადებული ინდექს-პაციენტის კონტაქტირებულთა და ლატენტური ტუბერკულოზური ინფექციის მკურნალობაზე მყოფი პირების აღრიცხვისა და სრულყოფილი მართვის საშუალებას იძლევა.

ა(ა)იპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

Bolnisi Bələdiyyəsi tərəfindən müəyyən edilmiş tələbələrə maliyyə vəsaitinin verilməsi qaydalarında dəyişiklik edilib

Dövlət akkreditasiyasından keçmiş ali təhsil müəssisələrində təhsil alan tələbələrə təqvim ili ərzində 10 ay (oktyabrın 1-dən martın 1-dək və martın 1-dən avqustun 1-dək) aylıq maddi yardım göstəriləcək.

Onu da qeyd edək ki, təqaüd almaq üçün payız semestrində bu proqramdan yararlanacaq tələbələrin yaz semestrinə yardım üçün yenidən müraciət etmələri tələb olunmayacaq. Bu halda, yalnız universitetdən aktiv tələbə statusu haqqında arayış tələb olunacaq. Təqaüd almaq üçün SSIP Dövlət Xidmətinin İnkişafı Agentliyindən ərizə formasının surətini (Forma № 1) təqdim etmək artıq tələb olunmur.

Bələdiyyə aşağıdakı kateqoriyalar üzrə tələbələrə yardım göstərəcək:

1. Valideynləri olmayan və ailə başçısını itirmiş tələbələr və dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan himayədar ailələrdən olan tələbələr.
2. Dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan məcburi köçkün ailələrindən
3. Dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan sosial cəhətdən həssas (0-dan 100 000-dək) ailələrdən olan tələbələr;
4. Dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan çoxuşaqlı ailələrdən olan tələbələr (üç və ya daha çox uşaq);
5. Dövlət akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan iki və ya daha çox tələbəsi olan ailələrdən olan tələbələr;
6. Dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan əlaçı tələbələr;
7. Dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan fiziki məhdudiyyəti olan tələbələr;
8. “Yetkinlik yaşına çatmayanların məhkumluğu məcəlləsi” Gürcüstan qanunu ilə müəyyən edilmiş qanunla ziddiyyət təşkil edən, tələbə adını qazanmış yetkinlik yaşına çatmayan şəxs deməkdir; Nəzərə alın ki, tələbə maliyyələşdirilməsi üçün müraciət 1 oktyabr 2022-ci il tarixindən bərpa olunacaq.

Etnik azlıqlardan olan gənclər üçün gürcü dili kursu



2022-ci ilin mart ayından Bolnisi, Dmanisi, Tetritskaro və Tsalkadanın majoritar deputatı Qoqi Meşvelianinin təşəbbüsü və Bolnisi Bələdiyyəsi və Bolnisi Mədəniyyət Mərkəzinin iştirakı ilə etnik azlıqlardan olan gənclər üçün gürcü dili kursları başlayacaq.Əgər siz 16-30 yaş arası etnik azlığın nümayəndəsisinizsə kəndlərdə yaşayırsınızsa, gürcü dilini daha yaxşı öyrənmək istəyirsinizsə, bu kurs sizin üçündür.Təlim Naxiduri, Talaveri, Kvemo Bolnisi və Darbazi icma mərkəzlərində həyata keçiriləcək.Kursun tədris səviyyəsi – A2, B1-dir.Əgər maraqlanırsınızsa, zəhmət olmasa aşağıdakı qeydiyyat formasını doldurun.

ABŞ-ın Gürcüstandakı səfiri Gürcüstan-ABŞ diplomatik əlaqələrinin 30-cu ildönümü ilə əlaqədar Bolnisi bələdiyyəsində olub

ABŞ-ın Gürcüstandakı səfiri Kelli Deqnan Gürcüstan-Amerika diplomatik əlaqələrinin 30-cu ildönümü münasibətilə Bolnisi Bələdiyyəsinə səfər edib. Yubiley tarixi ilə əlaqədar səfir Yeni Bolnisi Muzeyində Kvemo Kartli bələdiyyələrinin nümayəndələri ilə görüş keçirib. Tədbirdə Kvemo Kartli regionu üzrə dövlət nümayəndəsi Giorgi Doxturişvili, Bolnisi bələdiyyəsinin meri Davit Şerazadişvili, Rustavi şəhərinin meri Nino Latsabidze, Marneuli bələdiyyəsinin meri Kənan Ömərov və vətəndaş cəmiyyətinin nümayəndələri iştirak ediblər. Davit Şerazadişvili yerli özünüidarənin gücləndirilməsi prosesində Amerika tərəfinin dəstəyinə görə səfirə təşəkkür edib və ona Bolnisi şərablarını və Bolnisi muzeyində qorunan Ellinizm dövrünə aid artefaktın surətini, gil küpü hədiyyə edib.

“Mən çox şadam ki, Gürcüstan-Amerika diplomatik münasibətlərinin 30 illiyi münasibətilə ABŞ-ın Gürcüstandakı səfiri Kelli Deqnan Bolnisi bələdiyyəsində qonaq oldu. Birləşmiş Ştatlar ölkəmizin strateji tərəfdaşıdır, o, Gürcüstanda demokratiyanın və deçentralizasiyanın inkişafına böyük töhfə verib. Yerli özünüidarəetmələr Amerika tərəfinin dəstəyini xüsusilə hiss edirlər ki, bu da müxtəlif layihələrin həyata keçirilməsində özünü göstərir. Mən şəxsən bu dəstəyə görə səfirə təşəkkür etdim”, - deyə Bolnisi Bələdiyyəsinin meri Davit Şerazadişvili bildirib.

სიახლეები

არემჯი

RICH METALS GROUP

არემჯი ჯგუფი - უკრაინის მხარდასაჭერად!

არემჯი ჯგუფი აგრძელებს უკრაინის მოსახლეობის მხარდაჭერას. ჯგუფში შემავალი კომპანიები აქტიურად არიან ჩართულები სოლიდარობისა და დახმარების სხვადასხვა აქტივობებში. ამ მიზნით, რამდენიმე დღის განმავლობაში კომპანიის თანამშრომლებმა კაზრეთში, ბოლნისსა და თბილისში პირველადი საჭიროების ნივთების შეგროვება დაიწყეს. დღეს, არემჯის სახელით, აღნიშნული ჰუმანიტარული დახმარება უკრაინაში გასაგზავნად გადაეცა ბელიაშვილის ქუჩაზე მდებარე უკრაინის დახმარების პუნქტს.

აღსანიშნავია, რომ კომპანიის მენეჯმენტისა და თანამშრომლების მიერ უკრაინაში გასაგზავნად მოგროვდა სხვადასხვა სახის გადაუდებელი საჭიროების პროდუქცია. მათ შორის ბავშვთა კვება, ელექტრონული საქონელი და პირადი ჰიგიენის ნივთები.

,,არემჯი ჯგუფში შემავალი კომპანიების და აქ დასაქმებული თითოეული თანამშრომლის სახელით შევუერთდით სოლიდარობის აქციას. „არემჯის“, „კავკასიის სამთო ჯგუფის“ და „არემჯი აურამაინის“ რეგიონულ და თბილისის ოფისებში მოვაგროვეთ ჰუმანიტარული დახმარება. ვფიქრობთ, რომ ამ ვითარებაში მნიშვნელოვანია უკრაინის მოსახლეობის მხარდაჭერა. ჩვენ, სხვადასხვა ფორმით, პირველივე დღეებში ჩავერთეთ უკრაინის მხარდამჭერ ტელემარათონში და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ფონდში 160 000 ლარი ჩავრიცხეთ. ჩვენი გუნდი სოლიდარობას უცხადებს უკრაინელ ხალხს და ვიმედოვნებთ, რომ მალე მშვიდობა იქნება.'' - განაცხადა „კავკასიის სამთო ჯგუფის“ გენერალურმა დირექტორმა, ჯონი შუბითიძემ.

არემჯი ჩემპიონების მხარდაჭერას აგრძელებს

კომპანია არემჯი აგრძელებს წარმატებული ძიუდოისტების ლაშა შავდათუაშვილის, ვაჟა მარგველაშვილის და ბექა ღვინიაშვილის მხარდაჭერას.

კომპანიის თბილისის ოფისში, მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონებთან სასპონსორო ხელშეკრულებებს მოეწერა ხელი, რომელიც არემჯის მიერ, აღნიშნული სპორტსმენების ინდივიდუალურ მხარდაჭერას და მათი საქმიანობის გრძელვადიან ხელშეწყობას ითვალისწინებს.

,,უკვე წლებია არემჯი აქტიურად უწყობს ხელს საქართველოში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას. მხარში ვუდგავართ, როგორც დამწყებ, ასევე პროფესიონალ სპორტსმენებს, სპორტულ კლუბებს. განსაკუთრებული სიამაყით მინდა გამოვყო ჩვენი ძიუდოისტები. მრავალგზის ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონები, რომლებიც წლებია ჩვენს ქვეყანას, ადგილობრივ თუ საერთაშორისო ასპარეზზე ასახელებენ. ჩვენი კომპანია აგრძელებს მათ მხარდაჭერას და ყოველთვის ჩემპიონების გვერდით იქნება.“ - განაცხადა არემჯის აღმასრულებელმა დირექტორმა თორნიკე ლიპარტიამ.

,,ჩვენთვის სპორტსმენებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი მხარდაჭერა. როდესაც ასეთი ძლიერი კომპანია, როგორიც არემჯია, გიდგას გვერდში მეტი მოტივაციაა, რომ კიდევ უფრო ძლიერი იყო. 2022 წელი ძალიან დატვირთულია, არაერთი ჩემპიონატი გვაქვს წინ, ვემზადებით ოლიმპიადისთვის. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის რომ ჩვენს ქვეყანას და ხალხს კიდევ ბევრი გამარჯვება მოვუტანოთ.''- აღნიშნა მსოფლიო და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლაშა შავდათუაშვილმა.

ლალი ჯავახიშვილი

კომპანია არემჯის ფეთქი მასალების საწყობის უფროსი

„სამსახური ჩემი მეორე ოჯახია, სადაც ყოველთვის მიხარია მისვლა. საქმე, რომელსაც ვემსახურები, რთულია, მითუმეტეს ქალისთვის. ამის მიუხედავად მე მიყვარს ჩემი პროფესია და ყოველთვის მზად ვარ წვლილი შევიტანო კომპანიის წინსვლაში“. ლალი ჯავახიშვილი კომპანია არემჯის თანამშრომელია. სპეციალობით სამთოელმა, პროფესიული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მუშაობა სამთო-გამამდიდრებელი ფაბრიკის ტექნიკურ ლაბორატორიაში დაიწყო. ეს ერთგვარად დიდი პრაქტიკა იყო ახალგაზრდა კადრისთვის და მას შემდეგ დიდი სამუშაო გამოცდილებაც დაუგროვდა.

„1995 წლიდან მუშაობა მადნეულთან არსებულ შპს „კომუნალურ განყოფილებაში“ მოლარე-მოანგარიშედ დავიწყე. 2004 წლიდან ფეთქი მასალების საწყობში გავაგრძელე მუშაობა, 2007 წლიდან კი გავხდი ფეთქი მასალების საწყობის უფროსი. ქალისთვის ცოტა რთულია ემსახურო აფეთქების უბანს, მისი გარემო პირობებიდან გამომდინარე. წესდების შესაბამისად საწყობი ტყეშია, საქმე ძალიან საპასუხისმგებლოა, თუმცა როცა გიყვარს შენი საქმე სირთულეს აღარ წარმოადგენს. უკვე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ შედარებაც არაა დღეს ისე გაუმჯობესებულია სამუშაო პირობები. ასევე, გაიზარდა შრომითი ანაზღაურება, რაც ნამდვილად მისასალმებელი და ერთგვარი სტიმულია თანამშრომლისთვის. 2021 წლის 17 დეკემბერს, არემჯი „სამთოელის დღეს“ აღნიშნავს, ამ დღეს კომპანიის მენეჯმენტმა დიდი სიურპრიზი მომიწყო. ჩემთვის სასიხარულოა და საამაყო, რომ გავხდი „წლის სამთოელი“, მადლობა ჩემს კომპანიას დაფასებისთვის და გახარებისთვის.“ - გვიზიარებს ლალი ჯავახიშვილი.

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი: ნინო კარგარეთელი

მთავარი რედაქტორის მოადგილე: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: დარეჯან ოქრუაშვილი, მაგდა დევნოზაშვილი, ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი. სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.